საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ფურელიანი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ე. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.05.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 042/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ფ. -ის მიმართ /სიითი №2292/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ფ. -ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 12 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ფ. -ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნ. ფ. სთან 2019 წლის 11 ივნისს გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საადვოკატო მომსახურეობა მოიცავდა მიწის ნაკვეთის გამიჯვნას, კერძოდ მიწის ნაკვეთის გამოყოფა უნდა მომხდარიყო, მეზობლად მდებარე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან და ასევე მეზობლად მდებარე არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან, რომლის მესაკუთრის ადგილმდებარეობა უცნობი

იყო. საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში მითითებული იყვნენ თანამესაკუთრები, თუმცა არ იყო არარეგისტრირებული ნიწის ნაკვეთის მფლობელის ვინაობა და მიწის ნაკვეთის ფართი. სწორედ ამ პრობლემის გამო, საჩივრის ავტორი ვერ ახდენდა საკუთარი მიწის ნაკვეთის გამოყოფას. ადვოკატი ნ. ფ. დაჰპირდა საჩივრის ავტორს, რომ მიწის ნაკვეთის გამოყოფას მოახდენდა არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელის გვერდის ავლით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ფ. -მ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მაგრამ სარჩელში მოპასუხე მხარედ მიუთითა მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და არ მიუთითა არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. სასარჩელო მოთხოვნად მიუთითა თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა. მოპასუხე მხარეები პირველივე სასამართლო პროცესზე დათანხმდნენ მიწის ნაკვეთის გაყოფას, რისთვისაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 15 ოქტომბერს შედგა მორიგების აქტი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში არასწორად მიუთითა მიწის ნაკვეთის ფართი, რის გამოც გაჭიანურდა პროცესი და საჭირო გახდა უსწორობის გასწორება. ასევე, პრობლემა შეიქმნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენის შემდეგ, ვინაიდან სააგენტომ ე. ლ.-ს მოსთხოვა სასამართლოს მიერ დამოწმებული ნახაზი. სასამართლოს პასუხის წარდგენის შემდეგ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მითითება მისცა საჩივრის ავტორს, თუ რა დოკუმენტაცია იყო საჭირო წარმოების დასასრულებლად. ადვოკატმა საბუთების წარდგენის ნაცვლად, გაასაჩივრა საჯარო რეესტრის პასუხი. თავდაპირველად, ადვოკატმა საჩივარი წარადგინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა სასამართლომ საჩივარი არ მიიღო წარმოებაში, რადგან არ იყო გამოყენებული ზემდგომ ორგანოში ერთჯერადად გასაჩივრების უფლება. ამის შემდეგ, ადვოკატმა ნ. ფ. -მ საჩივარი წარადგინა ზემდგომ ორგანოში და საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და მიუთითა ადვოკატს, რომ სწორად მიეთითებინა მოპასუხეთა წრე. საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა არ შეავსო ხარვეზი სასამართლოში და არც აუცილებელი დოკუმენტაცია წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადვოკატი საჩივრის ავტორს ეუბნებოდა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან ელოდებოდა პასუხს, რადგან სასამართლომ დაუშვა შეცდომა და საკითხი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სასამართლოს უნდა გაერკვიათ ერთმანეთში. ადვოკატის განმარტება არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, რის გამოც მიმართა სხვა ადვოკატს. ამ უკანასკნელმა შეისწავლა ე. ლ.-ის საქმე და აუხსნა რა საბუთები იყო საჭირო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარსადგენად. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ის დოკუმენტაცია, რომელიც სააგენტომ თავიდანვე მოსთხოვა მას. დოკუმენტაცია სრულყოფილი და დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, თუმცა თავი იჩინა ახალმა პრობლემამ. კერძოდ, საჯარო რეესტრმა აღმოაჩინა მესამე თანამესაკუთრე, რომლის შესახებაც ე. ლ.-მ თავიდანვე გააფრთხილა ადვოკატი ნ. ფ. , თუმცა ის მესამე

თანამესაკუთრის გვერდის ავლით დაჰპირდა საქმის მოწესრიგებას. ნ. ფ. -მ თანამესაკუთრის პრობლემა მოაგვარა სხვა ადვოკატის დახმარებით, რის შემდეგაც შეძლო უძრავი ქონების რეგისტრაცია.

1.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიები მდგომარეობს იმაში, რომ ადვოკატმა ნ. ფ. -მ სასამართლოში წარადგინა ორი ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთა წარდგენაც არ იყო საჭირო და თიოთეული საქმისთვის საჩივრის ავტორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა. ადვოკატმა ადმინისტრციულ საქმეზე არ შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი. ასევე, ნ. ფ. -მ ყურადღება არ მიაქცია ქონებაზე თანამესაკუთრის არსებობას, რომელიც იყო ძირითადი საფუძველი უძრავი ქონების რეგისტრაციაზე უარის თქმის.

1.6 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. ფ. -ის მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომლის საფუძველზე ითხოვს ადვოკატის მომსახურებისთვის გადაცემული თანხების დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 29 ივნისს ადვოკატმა ნ. ფ. -მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 11 ივნისს იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ე. ლ.-მ, რომელიც ითხოვდა მის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან 287 კვ. მ-დან 156.45 კვ.მ-ს საკუთრებაში გადმოცემას. ადვოკატი და საჩივრის ავტორი შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების განხორციელებაზე, რის საფუძველზეც შედგა ხელშეკრულება N8. ადვოკატმა ნ. ფ. -მ აიღო ვალდებულება მიემართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის, რადგან ე. ლ.-ის საკუთრებაში აღრიცხულიყო უძრავი ქონება. ადვოკატმა ჰონორარი მიიღო საბანკო ანგარიშსწორების ფორმით. ჰონორარის მიღების შემდეგ ადვოკატმა ნ. ფ. -მ მოამზადა სარჩელი, ე. ლ.-ის მიერ წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერსა და აზომვითი ნახაზზე დაყრდნობით. 2019 წლის 24 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ე. ლ.-ის საჩივარი. 2019 წლის 15 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებთან ინტენსიური და არგუმენტირებული მუშაობის შემდეგ დავა დასრულდა მორიგებით. სასამართლოს განჩინებით ე. ლ.-ის საკუთრებაში აისახა სადავო მიწის ნაკვეთი, რომელზეც არც მოპასუხე მხარეს და არც ე. ლ.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამთ. სასამართლო განჩინებისა და აზომვითი ნახაზის საფუძველზე ე. ლ.-მ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნით, თუმცა საჯარო რეესტრში არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა, რადგან დაფიქსირდა ნაკვეთის გადაფარვა. როგორც აღმოჩნდა, 2007 წელს ე. ლ.-მ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგნეტოში დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთი 156,5 კვ.მ ფართის ოდენობით, რეალურად კი ნაკვეთის ფართი შეადგენა 133 კვ.მ.-ს. აღნიშნულის გამო, საჭირო გახდა აზომვითი ნახაზის შესწორება, რადგან მომხდარიყო მიწის ნაკვეთის სწორი მონაცემებით ასახვა. ასევე, შესაცვლელი გახდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებაც, რისთვისაც განმეორებით შედგა

სასამართლო სხდომა. სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მხარეები და ასევე, ადვოკატი ნ. ფ. . ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 03 დეკემბერს მიიღო განჩინება და ამით ადვოკატმა სრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ე. ლ.-მ მისი მონაწილეობით მიღებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 ოტომბრისა და 03 დეკემბრის განჩინებები, აზომვითი ნახაზები წარადგინა საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით. საჯარო რეეტრის ეროვნულმა სააგენტომ ე. ლ.-ის განცხადებაზე რეგისტრაცია შეაჩერა და მოითხოვა სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული გამიჯვნის ნახაზების წარდგენა. აღნიშნული აცნობა ე. ლ.-მ ადვოკატს და ადვოკატი ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ანაზღაურების გარეშე დაეხმარა მას. ადვოკატმა ნ. ფ. -მ განცხადებით მიმართა სასამართლოს. მოსამართლემ უარი თქვა აზომვითი ნახაზის ბეჭდით დამოწმებაზე, რომელიც ამზომველის მიერ იყო ბეჭდით დამოწმებული. იმ მოტივით, რომ არ მომხდარიყო საჯარო რეეტრში ე. ლ.-ის მიერ გადახდილი თანხის დაკარგვა, ე. ლ.-მ გადაწყვიტა საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემოდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რათა სასამართლო წესით მომხდარიყო საჯარო რეეტრის არამართებული ქმედების გასაჩივრება. ადვოკატმა მოამზადა ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც ე. ლ.-მ შეიტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ საჩივრის ავტორს ჩაბარდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული ხარვეზის განჩინება ბაჟის გადახდის თაობაზე, მაგრამ ე. ლ.-მ ამის შესახებ არ აცნობა ნ. ფ. ს და არც თავად გამოასწორა ხარვეზი. ადვოკატს ე. ლ.-ის წინაშე არ ჰქონდა აღებული ხარვეზის გამოსწორების ვალდებულება, შესაბამისად საჩივრის ავტორმა აღარ მიმართა საჩივრის გამოსწორების მიზნით. 2020 წლის 19 მარტს, ე. ლ.-მ აზომვითი ნახაზის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 ოქტომბრის და 03 დეკემბრის განჩინებების საფუძველზე კვლავ მიმართა საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც ისე დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთი, რომ არ მოსთხოვა სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული აზომვითი ნახაზი.

2.4 ადვოკატ ნ. ფ. -ის აზრით, ე. ლ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის მიზანი იყო საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება და ადვოკატის რეპუტაციის შელახვა, შესაბამისად ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის პრეტენზიებს. ადვოკატმა ნ. ფ. -მ აღნიშნა, რომ მან სრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ეხებოდა თანასაკუთრებაში არსებული ქონების სასამართლოს წესით გადაცემას და არა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ვალდებულებას. უფრო მეტიც, ადვოკატმა ორმაგი შრომა გასწია ე. ლ.-ის მიერ აზომვით ნახაზში დაფიქსირებული შეცდომის გამო, რისთვისაც დამატებითი ანაზღაურება მას არ მოსთხოვა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ე. ლ.-ის მიერ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საფუძველი მის მიერ გაწეული მომსახურება გახდა. ადვოკატი ასევე უარყოფს სადავო მიწის ნაკვეთზე მესამე პირის მხრიდან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ყოფნის ფაქტს და ამ გარემოების საფუძვლით რეგისტრაციის პროცესში ხელშეშლას. ნ. ფ. -ის განმარტებით, ე. ლ.-ის მიერ მისთვის წადგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან არ დგინდებოდა მიწის ნაკვეთზე მესამე პირის საკუთრება და არ არსებობდა ასეთი პირის მიმართ დავის დაწყების საფუძველი. ადვოკატმა საჯარო რეეტრის ამონაწერისა და აზომვითი ნახაზის

საფუძველზე მიუთითა თანასაკუთრებაში არსებული ფართიდან გამოსაყოფი ფართი, შესაბამისად ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას სარჩელში არასწორი ფართის მითითების თაობაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2020 წლის 06 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ფ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი 8.5 მუხლების შესაძლო დარღვევის საფუძველზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ნ. ფ. -მ არ გამოასწორა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის ხარვეზის განჩინებით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 მარტის განჩინებით ე. ლ.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები, რომელთა მიხედვით ადვოკატმა ყურადღება არ მიაქცია ქონებაზე თანამესაკუთრის არსებობას და ადვოკატმა წარადგინა ორი ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთა წარდგენაც ე. ლ.-ის აზრით არ იყო საჭირო, უკავშირდება ადვოკატის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას, რომლის მართებულობას ეთიკის კომისია არ ამოწმებს. ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს, რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა კლიენტის სამოქალაქო საქმის წარმოებისას, რამდენად სწორად მოამზადა მან სამართლებრივი დოკუმენტაცია და რამდენად სწორი იყო კლიენტის ინტერესების წარმოდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით.

3.4 საპროცესო კოლეგიამ ასევე იმსჯელა, საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე რომელიც ეხებოდა ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განმარტებაში მითითებულ ტერმინებს: "არაადეკვატურად შეთხზული ტყუილები", "ურცხვად ცრუობს", "უსინდისოდ ტყუის". საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ფ. -ის წარმოთქმული სიტყვები არის აზრის შემცველი და ისინი დაცული უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 *ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:*

4.1.1 ე. ლ.-სა და ადვოკატ ნ. ფ. ს შორის 2019 წლის 11 ივნისს გააფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი განისაზღვრა შემდეგი სახით: „სამოქალაქო საქმე ე. ლ.-ის, როგორც „ბენეფიციარის" სასარგებლოდ/დასაცავად, კონტრაქტორის მიერ დაკვეთილი საადვოკატო მომსახურების განხორციელება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადმოცემა".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები (პარ. 1.2; 2.2.);
- 11.06.2019 წლის ხელშეკრულება N8.

4.1.2. ადვოკატმა ნ. ფ. -მ წარმოადგინა ე. ლ.-ის ინტერესები ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო დავაზე - მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. აღნიშნული დავის ფარგლებში, 2019 წლის 15 ოქტომბერს სასამართლოში დამტკიცდა მორიგება ე. ლ.-სა და მოპასუხე მხარეს შორის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები (პარ. 1.3; 2.2.);
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 15.10.2019 წლის განჩინება, საქმე N2/1567-19.

4.1.3. 2019 წლის 19 დეკემბერს, ე. ლ.-მ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა 2019 წლის 15 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიღებული განჩინების საფუძველზე უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 114 იანვრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები - 2019 წლის 15 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული აზომვითი ნახაზები შესაბამისი ელექტრონული ვერსიებით და გამიჯვნის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.01.2020 წლის გადაწყვეტილება N902019029004-07
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.02.2020 წლის გადაწყვეტილება N41398.

4.1.4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.01.2020 წლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ე. ლ.-მ, ადვოკატ ნ. ფ. -ის წარმომადგენლობით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვარს. ასევე, საჩივარი წარადგინა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომლითაც 2020 წლის 10 თებერვალს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ე. ლ.-მ ადვოკატ ნ. ფ. -ის წარმომადგენლობით გაასაჩივრა 2020 წლის 21 თებერვალს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.02.2020 წლის გადაწყვეტილება N41398;
- 21.02.2020 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი.

4.1.5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით მოსარჩელე მხარეს - ე. ლ.-ს დაევალა „დააზუსტოს მოპასუხეთა წრე და სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები წარმოადგინოს იმდენი ასლის სახით, რამდენიც მოპასუხეა. ასევე გარკვევით

ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა და მიუთითოს იურიდიული ინტერესი“. ე. ლ.-ს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე. აღნიშნული განჩინება ე. ლ.-ს გაეგზავნა 2020 წლის 27 თებერვალს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 24.02.2020 წლის განჩინება, საქმე N3/113-20;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის 27.02.2020 წლის გზავნილი.

4.1.6. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 27 მარტს მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან მოსარჩელე მხარემ - ე. ლ.-მ არ შეავსო სასამართლოს მიერ 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.03.2020 წლის მარტის განჩინება.

4.2. *საქმეში სადავო გარემოებას წარმოადგენს მხარეებს შორის შეთანხმების არსებობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების შესახებ, რადგან საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები:*

- საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ფ. -მ არ შეავსო განჩინებით დადგენილი ხარვეზი (პარ. 1.3);
- ადვოკატის განმარტებით, ე. ლ.-სთან მომსახურების ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ სამოქალაქო დავაში წარმომადგენლობა, რაც მან სრულად შეასრულა. მხარეთა შეთანხმება არ ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ საქმეში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას და ამ წარმოების პროცესში სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორებას. ადვოკატი ადმინისტრაციული საჩივრის შედგენაში უსასყიდლოდ დაეხმარა საჩივრის ავტორს (პარ. 2.3).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. ლ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიის შეფასებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ე. ლ.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

6.2. კლიენტი ადვოკატისგან მოელის სწორ სამართლებრივ რჩევებსა და კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას, რის გამოც იწყებს ურთიერთობას, წერილობითი ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობის დაწყების შემდეგ ადვოკატი ვალდებულია დაეხმაროს კლიენტს მისი შესაძლებლობის ფარგლებში კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, მათ შორის გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია, მისცეს სწორი სამართლებრივი რჩევა და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები კერძო თუ საჯარო პირებთან ურთიერთობისას.

6.3. საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

6.4. საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

6.5. სადავო საკითხის განხილვის პროცესში მხარეებმა წარმოადგინეს ურთიერთგამომრიცხავი გარემოებები (პარ. 4.2.) და არ წარმოადგინეს დამატებითი მტკიცებულება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით ადვოკატ ნ. ფ. სთან შეთანხმების თაობაზე.

6.6. საქმეში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 24 თებერვალს მიღებული განჩინება ხარვეზის თაობაზე გაეგზავნა და ჩაბარდა უშუალოდ საჩივრის ავტორს (პარ.4.1.5). ადვოკატისთვის აღნიშნული განჩინების გადაცემის და განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების თაობაზე მხარეთა შეთანხმების არსებობა საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მხარეთა წერილობითი ხელშეკრულება მოიცავდა სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობას (პარ. 4.1.1) და დამატებით, წერილობითი სახით, მხარეები არ შეთანხმებულან ადმინისტრაციულ დავაში წარმომადგენლობის თაობაზე. ასევე, ე. ლ.-მ სასამართლო აქტის საფუძველზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი განცხადებით მიმართა 2020 წლის 19 მარტს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით მიღებულ 2020 წლის 27 მარტის განჩინებამდე. შესაბამისად, ე. ლ.-ის ინტერესს არ წარმოადგენდა სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შევსება, რადგან მან სასურველი შედეგის მიღების მიზნით ახალი ადვოკატის დახმარებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (პარ. 1.3) და არ გააგრძელა სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოება.

6.7. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ არ არსებობს ადვოკატ ნ. ფ. -ის მოქმედებებში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ვინაიდან არ დასტურდება დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეთა შეთანხმება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დადგენილი ფაქტი ადვოკატ ნ. ფ. -ის მიერ კლიენტის წინაშე აღნიშნული ვალდებულების აღების შესახებ, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ადვოკატის მხრიდან არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებაზე.

6.8. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ დგინდება ადვოკატ ნ. ფ. -ის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლების დარღვევა.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №042/20 ადვოკატ ნ. ფ. ს /სიითი №2292/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი /

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/